პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 161 (5191)

1974 წ. 15 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„მეგობროგის“ სარეკორდო ფინალები

კიევი, 13 აგვისტო. (საკუთარი). დღეს აქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრება „მეგობრობა“, სადაც სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 33 medალი — 12 ოქროსი, 13 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოსი. გდრ-ის წარმომადგენლებს შესაბამისად 10, 13 და 6 medალი ხვდათ, უნგრეთის სპორტსმენებს — 3 ოქროს და 2 ბრინჯაოს ჯილდო, პოლონეთის მოცურაველებს — 1 ოქროს medალი, ჩეხოსლოვაკიელებს — 4 ბრინჯაოს ჯილდო.

ტურნირში, რომელიც პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირში, გათამაშდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს medალების 26 კომპლექტი. ოცდაექვსივე გამარჯვებულმა შეჯიბრების მიღწევა დაამყარა, ხოლო ზოგიერთმა — თავისი ქვეყნის რეკორდიც.

დიდი წარმატება მოიპოვა 15 წლის ლენინგრადელმა ა. გრიბანოვამ, რომელმაც „მეგობრობის“ ოთხი რეკორდი დაამყარა.

უნგრელი სპორტსმენებისთვის იღბლიანი გამოდგა ფინალური შეჯიბრება 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. გამარჯვებულებმა გ. ვერასტოვ (გოგონებში) და ი. გუიაშმა (ბიჭებში) უნგრეთის მოზარდთა რეკორდები დაამყარეს. ი. ვეიკშას (ბატერფლაით ცურვა), ა. კუპიშს (კომპლექსური ცურვა) და ვ. ლევანდოვსკას (800 მეტრზე თავისუფალი სტილით) კუთვნით პოლონეთის მოზარდთა რეკორდები.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა დ. მახე

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბათუმი)	24	12	9	3	33—12	33
„ისკრა“	25	14	5	6	40—20	33
„დილა“	24	13	4	7	49—28	30
„ტორპ.“	23	11	8	4	31—16	30
„დინამო“ (ვოლ.)	24	12	6	6	35—23	30
„ლოკომ.“	24	11	8	5	30—27	30
„ურალანი“	24	11	6	7	25—22	28
„ხიმიკი“ (ძერჟინ.)	24	10	7	7	30—22	27
„გურია“	24	6	13	5	33—26	25
„მერცხ.“	24	8	9	7	32—29	25
„კალიტვა“	25	10	4	11	29—26	24
„დინამო“ (კიროვ.)	23	9	4	10	31—27	22
„დინამო“ (სტავრ.)	24	7	7	10	26—27	21
„დინამო“ (ბრიანსკი)	24	8	5	11	27—32	21
„დინამო“ (ზუგ.)	24	8	4	12	28—42	20
„შირაკი“	22	7	4	11	25—36	18
„კოლხეთი“	24	6	6	12	16—29	18
„ხიმიკი“ (ნოვომ.)	24	7	3	14	18—34	17
„ლორი“	23	3	7	13	13—41	13
„ფოლადი“	23	5	1	17	15—47	11



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. დღეს აქ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი: „სპარტაკი“ და „არარატი“.

მე-2 წუთზე ერევნელთა კარში მინაევის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მოსკოველებს — 1:0.



გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ასკ (თბილისი) 1:2. მსაჯი დ. ბაბუთიძე (ქუთაისი).

მასპინძლებმა კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში და ბურთიც გაიტანეს მეტოქის კარში (ქათამაძე), მაგრამ მერე არმიელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და დვალიშვილისა და დარჯანიას ზუსტი დარტყმების წყალობით გამარჯვებასაც მიაღწიეს.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან ზესტაფონელი ე. კვინიკაძე და არმიელი დ. დარჯანია.

● „ოვერია“ (ხაშური) — „დინამო“ (სოხუმი) 0:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

სოხუმელმა ფეხბურთელებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს და 2 ქულა აიღეს სტუმრად. ორივე ბურთი დრაჩმა გაიტანა.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მასპინძლებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს შესვენების შემდეგ, რაც დამთავრდა გაბლიას (2) და ჯოჯუას გოლებით. სტუმრებს შეეძლოთ თავი დაეღწიათ „შრალი“ ანგარიშით წაგებისთვის, მაგრამ თოთიძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

გაფრთხილებულია ხობელი ვ. გაბლია.

● „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 9:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).



გათამამების ლიდერმა იოლად სძლია აუტსაიდერს.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — ასკ (თბილისი) 4:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

ამ მატჩის ორი ტაიმი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თავდაპირველად არმიელები საუკეთესოდ თამაშობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები დვალიშვილი და დარჯანია. შესვენებისთვის წინ თბილისელები — 1:0. მერე არმიელთა გუნდი ძნელი საცნობი იყო. ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს ჭიათურელებმა, რომლებმაც ზედიზედ 4 ბურთი გაიტანეს.

● „ვარძია“ (ახპინძა) — „განთიადი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ფოცხვერაშვილმა და ჯაშმა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი ი. კუსადი (ბათუმი).

ცხაკაიელმა ხოფერიამ მატჩის დასაწყისშივე შეძლო 2 ბურთის გატანა, ხოლო ტაიმის დასასრულს ჯოჯუამ კიდევ ერთხელ აიღო სტუმართა კარი. მეორე ტაიმში ხოფერიამ კვლავ მიაღწია წარმატებას და სტუმრებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ გაქვითეს ერთი გოლი. (ეზუბაია).

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ბურთი გაიტანა გაგუამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გეგეჭკორელი თ. გახოკიძე.

● „კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 3:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 3:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

I ᲖᲝᲜᲐ

„არაგვი“ (დუშეთი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:2, „ჟერეთი“ (ლაგოდეხი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:2.

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

„მშენებელი“ (ჭიათურა) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 3:1, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 1:3, „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:0, „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) — „იორი“ (სართიჭალა) 1:0, „შალაური“ (თელავი) — „ქიმიკოსი“ (ახმეტა) 1:3, „წინანდალი“ (თელავი) — „იორი“ (თიანეთი) 2:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:2, „არაგვი“ (მცხეთა) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:2, „სპარტაკი“ (მარნეული) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 4:2, „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „სპარტაკი“ (მარნეული) 3:1, „იორი“ (თრიალეთი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 1:0, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „წინანდალი“ (თელავი) 8:1, „იორი“ (სართიჭალა) — „შალაური“ (თელავი) 1:1, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) 2:0, „ქიმიკოსი“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 9:0. წალკის „თრიალეთს“ მოგება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან“.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (რუსთავი)	20	13	5	2	44—15	31
„მაღარ.“	20	12	4	4	32—11	28
„დინამო“ ასკ (თბილისი)	20	11	6	3	36—17	28
„სალხინო“	19	10	6	3	43—22	26
„მეტალურგი“ (ზესტაფ.)	20	8	10	2	28—16	26
ფიზკ. ინსტ.	21	10	6	5	36—26	26
„ლოკომ.“	19	9	6	4	40—26	24
„კახეთი“	18	8	7	3	31—22	23
„შუქურა“	20	8	6	6	34—31	22
„კოლხეთი“	21	8	5	8	26—20	21
„ეგრისი“	20	6	9	5	27—23	21
„ქართლი“	21	8	5	8	29—27	21
„ამირანი“	21	7	4	10	32—35	18
„მეშახტე“	19	6	5	8	18—21	17
„განთიადი“	20	6	4	10	24—37	16
„სულორი“	21	4	7	10	24—36	15
„ვარძია“	21	5	4	12	19—54	14
„სპარტაკი“	21	4	3	14	17—41	11
„ოვერია“	21	2	4	15	19—48	8
	21	4	0	17	19—50	8

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ

I ᲖᲝᲜᲐ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თრიალეთი“ (წალკა)	4	3	1	0	12—2	7
„სპარტაკი“ (მარნეული)	5	3	0	2	10—13	6
„გარისი“ (თეთრიწყარო)	4	1	3	0	7—5	5
„არაგვი“ (მცხეთა)	5	1	2	2	9—9	4
„ფარვანა“ (ბოგდანოვკა)	5	1	2	2	9—14	4
„მეშაქრე“ (აგარა)	5	0	2	3	8—12	2

II ᲖᲝᲜᲐ

„ᲫᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ“ (ახმეტა)	5	3	2	0	17—3	8
„ᲘᲝᲠᲘ“ (თიანეთი)	5	3	2	0	8—4	8
„ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲘ“ (საგარეჯო)	5	3	1	1	5—1	7
„ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ“ (თელავი)	5	2	1	2	8—15	5
„ᲨᲐᲚᲐᲣᲠᲘ“ (თელავი)	5	0	1	4	4—11	1
„ᲘᲝᲠᲘ“ (სართიჭალა)	5	0	1	4	3—11	1

III ᲖᲝᲜᲐ

„ᲚᲔᲡᲘᲭᲘᲜᲔ“ (ჩხოროწყუ)	4	3	0	1	8—4	6
„ᲫᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ“ (წულუკიძე)	4	2	1	1	13—1	5
„ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“ (ჭიათურა)	4	2	1	1	6—4	5
„ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲐ“ (ამბროლაური)	4	1	1	2	3—8	3
„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ“ (ლანჩხუთი)	4	0	1	3	4—17	1

ᲘᲑᲠᲐᲫᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐ

დამთავრდა II ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების პირველი წრე. ბუხებრივია, მკითხველებს აინტერესებთ III ზონაში მოთამაშე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგები, მათი შესაძლებლობანი...

კალენდრით გათვალისწინებული მატჩები ისე მჭიდროდაა ერთმანეთს დაახლოებული, რომ გუნდები მოკლებული არიან ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საშუალებას. ტურები დაგეგმილია ძალიან პატარა ინტერვალით, გუნდებს ხშირად უხდებათ მგზავრობა ქალაქიდან ქალაქში და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მწვრთნელები იძულებული არიან უმთავრესად იზრუნონ მოთამაშეთა სპორტული ფორმის შენარჩუნებაზე და არა შემდგომ სრულყოფაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გუნდები წლეულს გაცილებით უკეთ გამოდიან, ვიდრე შარშან, და, აქედან გამომდინარე, საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი საერთო შედეგებიც. ეს პირველ ყოველისა ეხებათ ბათუმის დინამოელებს, როშლებიც პირველი წრის დასასრულს მტკიცედ იყვნენ დამკვიდრებული ლიდერთა რიგებში. თუ გადავხედავთ ამ გუნდის მიერ ჩატარებული მატჩების შედეგებს, კვლავ და კვლავ სინანულის გრძნობას იწვევს მოულოდნელი, დასანანი წაგება სუმგაითის სუსტ გუნდთან. ეს რომ არა, დინამოელებს კიდევ მეტი შანსი ექნებოდათ I ადგილზე გასვლისა ზონაში. მაგრამ, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ახლა გაიზარდა ზონებში საუკეთესო გუნდების რაოდენობა ფინალურ ტურნირში, იმედი უნდა ვიქონიოთ, ბათუმელი ფეხბურთელები არ გაუშვებენ ხელიდან ამ გათამაშებაში მონაწილეობის შანსს და გახაგრძობენ ბრძოლას შემდგომ ეტაპზე, უფრო მაღალი რანგის ტურნირებში, ახალი წარმატებებით გაახარებენ თავიანთს ქომაგებს.

ბათუმელთა ეს მიღწევა გუნდის უფროსის გ. მენაბდის, უფროსი მწვრთნელის ვ. ჩხარტიშვილის უნარიანი მუშაობის, მთელი კოლექტივის მონდომების ნაყოფია. ბათუმის „დინამოს“ სიძლიერე პირველ ყოვლისა იმის შედეგია, რომ მას ჰყავს სტაბილური, კარგად შეთამაშებული შემადგენლობა. დაცვაში კვალიფიციური თამაშით გამოირჩევიან ცენტრალური მცველები ქორიძე და გოგიჯანაშვილი, ნახევარმცველები კარგად ეხმარებიან დაცვის ხაზს და აქტიურად მონაწილეობენ თავდამსხმელთა იერიშებშიც, სადაც გამოირჩევიან ქიქავა, თ. ესებუა (ეს უკანასკნელი შემდგომში თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს).

შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ თამაშობს გორის „დილაც“. კოლექტივი გადახალისდა, მის შემადგენლობაში შეყვანილია რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი და ამან დადებითად იმოქმედა შედეგებზე. კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ხანიშვილმა, ბუზალაძემ, ბერიკაშვილმა, ბურჯანაძემ და სხვ. ბევრი მატჩი გორელებმა კარგ სპორტულ დონეზე ჩაატარეს, მაგრამ იყო გაუმართლებელი წარუმატებლობანიც, რაც უნდა აიხსნას სათამაშო დისციპლინის დარღვევით, ცალკეულ ფეხბურთელთა ზედმეტი ინდივიდუალური თამაშით. უნდა ვიფიქროთ, გორელთა ხელმძღვანელობა (გუნდის უფროსი ლ. ლოლაძე, უფროსი მწვრთნელი ვ. ფუტკარაძე), აგრეთვე, ფეხბურთელები არ დათმობენ მიღწეულს და საბოლოოდ დამკვიდრდებიან ზონის ლიდერთა შორის.

სულ მეორე წელია საკავშირო ასპარეზზე გამოდის სამტრედიის „ლოკომოტივი“. კარგის მეტი რა გვეთქმის რკინიგზელ ფეხბურთელებზე, რომელთა პროგრესი და წინსვლა ყველასთვის ცხადზე ცხადია. არც შეიძლება მეტი მოვთხოვოთ ახალბედა კოლექტივს, მაგრამ დებიუტის წლები გავა და სამტრედიის „ლოკომოტივის“ სახით საქმე უნდა გვექნეს ჩამოყალიბებულ, სტაბილური მაჩვენებლების მქონე გუნდთან. ამიტომ ახლავეა საჭირო ზრუნვა ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა აღზრდისთვის. სამტრედიელებს კარგი საწვრთნელი ბაზა აქვთ მომავალი თაობის მოსამზადებლად, ქალაქში საკმაოდ არიან ნორჩი, პერსპექტიული მოთამაშეები.

გათამაშების ცხრილის შუაგულში ერთმანეთის უშუალო მეზობლები არიან ლანჩხუთის „გურია“ და მახარაძის „მერცხალი“. თუ მხედველობაში მივიღებთ ორივე ამ გუნდის პოტენციურ შესაძლებლობებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ მეტი ძოვთხოვებათ, ვინაიდან „გურიასაც“ და „მერცხალსაც“ საკმაოდ ჰყავთ კარგი ფეხბურთელები და გამოცდილი ხელმძღვანელობაც, მაგრამ მხოლოდ პირველი წრის შედეგებით საბოლოო დასკვნების გამოტანა არ იქნებოდა სწორი. საფიქრებელია, რომ ლანჩხუთელებიც და მახარაძელებიც გათამაშების ბოლომდე გამოასწორებენ მდგომარეობას. „გურიის“ შესახებ აღვნიშნავთ, რომ მის წარუმატებლობაში გარკვეული ბრალი მიუძღვით დაცვითს ხაზებს, ვინაიდან გატანილი ბურთებით ეს გუნდი უძლიერესთა შორისაა და ამავე დროს მაღალ შედეგიანობას ვერ ინარჩუნებს დაცვის სუსტი თამაშის გამო.

ერთ დროს მძიმე კრიზისს განიცდიდნენ ზუგდიდის დინამოელები, რომლებიც ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ ბოლო ხანებში საქმე გამოსწორდა. ამ ქალაქში იზრუნეს გუნდის წარმატებებისთვის, გადამწყვეტ ზომებსაც მიმართეს და ზედიზედ მოპოვებული რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

ერთობ მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ზღვისპირა ქალაქის — ფოთის გუნდი. ეს არცაა გასაკვირი: ბოლო წლების მანძილზე ფოთში არ აქცევდნენ ყურადღებას ახალგაზრდა კადრების აღზრდას, არ გაჰნდათ პირობები ოსტატთა გუნდის საწვრთნელად და ქალაქის პირველობაც სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობდა მინდვრების უქონლობის გამო. ქალაქის მთავარ სტადიონზე სათამაშო მინდორი მოუვლელია. მეორე მოედანი — „სპარტაკისა“ — ათხრილია და არავინ იცის, როდის დამთავრდება მისი კეთილმოწყობა. ასეთ პირობებში ძნელია წარმატებაზე ფიქრი. მართალია, აქ ახლა ძმართეს კონკრეტულ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, დაისახა წარუმატებლობიდან თავის დაღწევის გზები და საფიქრებელია, რომ ყველაფერი ეს სათანადო შედეგს გამოიტანს.

რესპუბლიკის II ლიგის გუნდებისგან ჩვენ მოვითხოვთ წარმატებებს და მაღალ ადგილებს საკავშირო გათამაშებაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მათს მთავარ მოვალეობას წარმოადგენს მაღალი კლასის ფეხბურთელთა აღზრდა, მათი მომზადება I და უმაღლესი ლიგების კოლექტივებისთვის. ახლა, როცა საქართველოს საუკეთესო გუნდები — თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ შესაფერისი კლასის მოთამაშეთა ასეთ ნაკლებობას განიცდიან, ადგილებზე მომუშავე მწვრთნელებმა თავიანთს მიზნად უნდა დაისახონ ახალი კადრების აღზრდა, რომელთაგან საუკეთესონი, ყველაზე ძლიერნი, შეავსებენ ქართული ფეხბურთის მოწინავე გუნდებს.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

„ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ“

სტავროპოლის მხარის ქალაქ ჩერკესკში დაიწყო მოზარდ ფეხბურთელთა ფინალური გათამაშება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე — „სიჭაბუკის თასზე“.

წინასწარი შეჯიბრებების მონაწილე 17 გუნდიდან ერევნის, ბარანოვიჩის, რუბცოვსკის ზონებში I-II ადგილებზე გასულებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი. ახლა საპატიო პრიზისთვის გადამწყვეტ ეტაპზე იბრძვიან სომხეთის, საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიის, რსფსრ-ს და უზბეკეთის გუნდები.

აღნიშნული პრიზის გათამაშება წლეულს მეთერთმეტედ ეწყობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენლებს 5-ჯერ აქვთ მოპოვებული ეს ჯილდო — 1968, 1969, 1970, 1972, 1973 წლებში.

ა. მენშიკოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

ᲩᲔᲠᲙᲔᲡᲙᲘ, 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). „სიჭაბუკის თასის“ პირველი მატჩი საქართველოს ფეხბურთელებს რსფსრ-ს გუნდთან ჰქონდათ და ბერიძის მიერ გატანილმა გოლმა მათ პირველი წარმატება მოუტანა — 1:0. აღსანიშნავია მეკარე ლეონავას, მცველ რუხაძისა და ნახევარმცველ ალექსიძის კარგი თამაში.

უკრაინელებმა დაამარცხეს ბელორუსიის გუნდი — 8:2, ხოლო სომხებმა მოუგეს უზბეკეთის კოლექტივს — 1:0.

ნ. ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მოქმე სოციალისტურ ქვეყნებში

ორი ეპიზოდი შურკოვსკის ცხოვრებიდან



ეს სურათები სახელგანთქმული მოყვარული ველოსიპედელის, მშვიდობის ველოსპორტში სამგზის გამარჯვებულის, პოლონელი რიშარდ შურკოვსკის ცხოვრების ორ ეპიზოდს ასახავს. ზედა ფოტო ერთ-ერთი შეჯიბრების დროსაა გადაღებული. შურკოვსკის ხელი მოეცარა (ეს არცთუ ხშირად ხდება) — ავარია შეემთხვა. ახლა მისი ველოსიპედის ბორბალს კვადრატის ფორმა უფრო აქვს...

ქვევით პოლონელი სპორტსმენი თავის შვილთან ერთადაა გადაღებული. როგორც ხედავთ, შვილი არ ჩამორჩა მამას — მთელ „თავისუფალ დროს" (რომელიც მას საკმაოდ ბევრი აქვს) ველოსიპედის საჯეესთან ატარებს. ვინ იცის, იქნებ მსოფლიო ველოსპორტს ახალი ვარსკვლავი ეზრდება...

ლ. ფიდუსევიჩის (ვარშავა) ფოტოები.

• • • •

მეგობრები მფვერვალს იპყრობენ

პრაღა, 12 აგვისტო. (საკდესი). მოეწყო სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის მასობრივი ასვლა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის საზღვარზე მდებარე რისის მწვერვალზე. ჯაბუკებმა და გოგონებმა ეს უკვე მეთვრამეტედ გაიმეორეს გზა ვ. ი. ლენინისა, რომელიც ამ მთაზე ავიდა 1913 წლის აგვისტოში პოლონეთის მხრიდან.

ლაშქრობაში მონაწილეობდა 3 ათასზე მეტი ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიიდან, სსრ კავშირიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, რუმინეთიდან.

ახალგაზრდული შესვედრა ჩატარდა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 30 წლისთავთან დაკავშირებით. ჯაბუკები და ქალიშვილები ესაუბრნენ ამ აჯანყების მონაწილეებს, რომელიც ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩეხებისა და სლოვაკების ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე გმირული ეპიზოდი იყო, რომელიც ერთ-ერთ ნათელ ფურცლადაა შესული ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო ძმობის მატიანეში.

ჯონ ჰავლიჩეკი ჭარიმ აბდულ ჯაბარის წინააღმდეგ...

მილუოკის მოსახლეობამ გულმხურვალე შეხვედრა მოუწყო თავის კერპებს — „მილუოკი ბაკსის" კალათბურთელებს, რომლებმაც ჩიკაგოში ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის — პროფესიონალთა არაოფიციალური მსოფლიო პირველობის პირველ ორ ნახევარფინალურ მატჩში სძლიეს ადგილობრივ „ჩიკაგო ბალზს".

მილუოკიში ტარდებოდა ორი შემდეგი მატჩი. ბილეთები დიდი ხნით ადრე დაიტაცეს. შავ ბაზარზე ქორვაჭრები თითო ბილეთს 30-50 დოლარად ყიდდნენ, ხოლო თამაშის დღეს ფასი 70 დოლარამდე ავიდა. ამ მატჩზე ლასვრებისა და „ბაკსის" სახელგანთქმული დუეტის — ჭარიმ აბდულ ჯაბარისა და ოსკარ რობერტსონის თამაშის ნახვის მსურველი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სპორტის სასახლის ტრიბუნებს შეეძლოთ დეტენა.

1973-74 წლების სეზონი ჭეშმარიტად „მილუოკი ბაკსის" ტრიუმფის სეზონი იყო. გუნდმა თავიდანვე ხელი იგდო ლიდერობა თავის ქვეჯგუფში, სადაც 24 გამარჯვება მოიპოვა. ბოლო 18 თამაშში იგი არც ერთხელ არ დამარცხებულა. გუნდს ხელი მოეცარა მხოლოდ ერთ მატჩში. სპეციალისტები ამ წაგებასაც იმით ხსნიდნენ, რომ „ცინცინატი როიალზთან" შეხვედრაში ჭარიმ აბდულ ჯაბარს მონაწილეობა არ მიუღია ტრავმის გამო. „ბაკსმა" I ადგილი დაიკავა დასავლეთის ქვეჯგუფში და კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ნახევარფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მეორე იყო ნიუ იორკის „ნიკერბოქსი", რომელიც გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა. სპეციალისტების აზრით, „მილუოკი ბაკსის" ეს უდიდესი გამარჯვება განაპირობა ეროვნული ასოციაციისა და აშშ-ს მთელი პროფესიული კალათბურთის ორი სახელოვანი წარმომადგენლის — ჭარიმ აბდულ ჯაბარისა და ოსკარ რობერტსონის ბრწყინვალე თამაშმა. ამ ტანდემის თითქმის სრულყოფას შეჯერ ვალამდე აყვანილმა თამაშმა თავდასხმაში და ასევე უნაკლო მოქმედებამ დაცვაში სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სახელი ჭარიმ აბდულ ჯაბარი, რომელიც მუსულმანურ სექტაში შესვლის შემდეგ დაირქვა ლეი ალსინდორმა, პროფესიული კალათბურთის განვითარებული ვარსკვლავების ბილ რასელისა და უილტონ ჩემბერლენის გვერდით მოიხსენიება. ჯაბარმა ამ უდიდესი ოსტატებისგან ყველა საუკეთესო თვისება მიიღო მემკვიდრეობით და, გარდა ამისა, კალათბურთში შემოიტანა ცენტრის მოთამაშის როლის ახლებური გაგება. ამ გაგებით, ცენტრის მოთამაშე სწრაფი, ტექნიკური, ტაქტიკურად განათლებული კალათბურთელია, რომელსაც შეუძლია წარმატებით ბრძოლა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, ნებისმიერ ამპლუაში.

27 წლის გოლიათი უკვე ხუთი სეზონია კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა. ამ ხნის განმავლობაში მას უცვლელად უკავია ცენტრის მოთამაშის ადგილი პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავთა სიმბოლურ ნაკრებში.

„დიდი ო", როგორც გულშემატკივრები სიყვარულით ეძახიან ოსკარ რობერტსონს, ახლა თითქოს მეორე სიჭაბუკის ხანაშია. კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში 36 წლის ასაკში ჯერ არავის უთამაშია ისე, როგორც დღეს რობერტსონი თამაშობს. მას არ დაუკარგავს არც ერთი თავისი საუკეთესო თვისება — არც მაღალი ტექნიკა, არც შედეგიანობა, არც სისწრაფე და ხტომის უნარი, ხოლო როცა ის და ჯაბარი ერთად თამაშობენ, ამ წყვილს ვერც ერთი მეტოქე ვერ გაუმკლავდება.

მილუოკი მოუთმენლად ელოდა კალათბურთელთა ბრძოლას, რომელიც სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო. შეხვედრის დაწყებამდე 2 საათით ადრე ტრიბუნებზე უკვე ნემსი არ ჩავარდებოდა. გულშემატკივრები თავიანთი კერპების სახელებს გაჰყვიროდნენ. და აი, სპორტული მარშის ხმაზე განათებულ მოედანზე გამოვიდნენ „მილუოკი ბაკსი" და „ჩიკაგო ბალზი", რომლებსაც მაყურებლები ენით აუწერელი ყიჟინით შეხვდნენ. „ბაკსი", რომელმაც პირველი ორი შეხვედრა მოიგო ჩიკაგოში, უდავოდ უკეთეს მდგომარეობაში იყო. ახლა მას დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ფინალში მოსახვედრად ორის მოგებაც ჰყოფნიდა (როგორც ცნობილია, ნახევარფინალსა და ფინალში შვიდ-შვიდი შეხვედრა ტარდება და გამარჯვება მას რჩება, ვინც ოთხ შეხვედრას მოიგებს).

მატჩი „ბაკსის" დიდი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში ნელა იზრდებოდა. ჯაბარს თამაში თავიდანვე არ გამოუვიდა და მისი მღელვარება სხვებსაც გადაედო. გადაედო ყველას, გარდა ოსკარ რობერტსონისა. მან თამაში თავის თავზე აიღო, დაამშვიდა პარტნიორები და დაიწყო მეტოქეს კალათის „დაბომბვა". რობერტსონმა ბრწყინვალედ გადალახა მთელი მოედანი, მაგრამ მერე ჩეტ უოლკერმა შეაჩერა. მსაჯმა სტორმმა უოლკერი დაჯარიმა. ამან „ჩიკაგო ბალზის" მწვრთნელი ფრენკ მოტი ზომაზე მეტად გააშმაგა და იგი უდისციპლინობისთვის ტექნიკური საჯარიმოთი დასაჯეს. რობერტსონმა მშვენივრად გამოიყენა საჯარიმო ტყორცნები. გაცცხლებულმა მოტიმ ქურთუკი გაიხადა და ფეხებში ესროლა ძაჯა, რისთვისაც კიდევ ერთი ტექნიკური საჯარიმო მიიღო. რობერტსონმა ახლაც კარგად გამოიყენა ტყორცნის უფლება.

თამაში გასურდა. „ბალზის" მეორე მწვრთნელი ბენეტი მოედანზე გავარდა და სტორმთან მიირბინა: „თქვენ მსაჯად ვინ დაგნიშნათ, თქვენ ჯერ დაწყებითს სკოლაში უნდა იჯდეთ!"

სტორმმა თამაში შეაჩერა და ზომაზე მეტად გაცხარებული ბენეტი ორმა პოლიციელმა დარბაზიდან გაიყვანა. ეს იძულებითი შესვენება კარგად გამოიყენეს „ბაკსის" კალათბურთელებმა. როცა მატჩი განახლდა, ისინი უკვე ისე თამაშობდნენ, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში. ბოლო, მეოთხე პერიოდში ანგარიშში სხვაობამ 13 ქულას მიაღწია. დაცვაში ძალიან კარგად ითამაშა ჭარიმ ჯაბარმა, რომელიც თავის კალათთან ბურთებს ზედიზედ ხსნიდა და პარტნიორებს აწვდიდა.

ანგარიში დააგვირგვინა ოსკარ რობერტსონისა და ჯონ მაკ გლოკინის ტყორცნებმა. 113:90 — გაიმარჯვა „ბაკსმა". შეხვედრათა საერთო ანგარიში გახდა 3:0 მილუოკელთა სასარგებლოდ.

მესამე დღეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ჭარიმ აბდულ ჯაბარი საუცხოო ფორმაში იყო. მან 38 ქულა მოუტანა თავის გუნდს, თანაც ფარქვეშ 24-ჯერ მოიგო ბრძოლა.

ბრწყინვალედ ითამაშა რობერტსონმაც, რომელმაც მეორე თორმეტწუთიანში 16 ქულა შესძინა თავის გუნდს. მატჩის პირველი ნახევარი „ბაკსმა" დიდი უპირატესობით მოიგო — 67:47. როგორც ჩანს, ანგარიშში დიდი სხვაობით დამშვიდებულმა „მილუოკი ბაკსმა" შეხვედრის მეორე ნახევარი დაუდევრად დაიწყო. მეტოქემ მყისვე ისარგებლა ამით და უკვე მესამე პერიოდის მე-8 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 75:75. ამ კრიტიკულ მომენტში ბრწყინვალედ ითამაშა რობერტსონმა, რომელმაც ექვსჯერ ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში.

ბოლო პერიოდში, როცა ჯაბარმა ოთხჯერ ზუსტად ტყორცნა და ექვსჯერ აიღო ბურთი თავის ფარის ქვეშ, „მილუოკი ბაკსი" 15 ქულით დაწინაურდა. საბოლოოდ ანგარიში იყო 115:99 „ბაკსის" სასარგებლოდ. გუნდი გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე მეორე ნახევარფინალში გამარჯვებული უნდა ყოფილიყო. ამ ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ სახელგანთქმული „ბოსტონ სელტიკსი" და „ნიუ იორკ ნიკერბოკერსი".

„ბოსტონ სელტიკსი" — ეს თვით პროფესიული კალათბურთის ისტორიაა. ამ ცნობილ კლუბს, რომელმაც ვირტუოზების მთელი თაობა აღზარდა, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ამერიკის შეერთებულ შტატებში კალათბურთის პოპულარიზაციაში. ბობ კოუსმა, ბილ რასელმა, ჯონ ჰავლიჩეკმა და სხვებმა ნათელი ფურცლები რაწერეს კალათბურთის ისტორიაში. „სელტიკსი" თორმეტჯერ იყო ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი. გუნდიდან ბევრი კარგი მწვრთნელი და ძოთამაშე წასულა, მაგრამ „სელტიკსი" მაინც ძლიერი და მონოლითური რჩებოდა.

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ერთ-ერთი უძველესი კლუბი „ნიკერ-ბოკერსიც". მაგრამ, თუ მანამდე იგი ერთ-ერთი სამუალო გუნდი იყო, ბოლო დროადაში ამ ასოციაციის პროფესიული გუნდების ელიტაში მოხვდა. ბილ ბრედლის, უოლტ ფრეზიერის, ფილ ჯეკსონის, უილის რიდსისა და დეივ დებუშერის სახელებმა ეს ლუბი ნამდვილ რისხვად აქცია პროფესიული ლიგის ნებისმიერი გუნდისთვის.

კენჭისყრით, პირველი ორი თამაში ნიუ იორკში უნდა ჩატარებულიყო. „მედიასონ სკვერ გარდენი" ხალხით იყო გაჭედილი. პირველი მატჩი, რომელიც თანაბარ, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, „სელტიკსმა" მოიგო — 102:99. ამ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა ჯონ ჰავლიჩეკმა, „სელტიკსის" ვეტერანმა, რომელმაც თავის გუნდს 37 ქულა მისცა. კიდევ უფრო დაძაბული იყო მეორე შეხვედრა. ანგარიში ცამეტჯერ გათანაბრდა. თამაშის დამთავრებამდე 5 წამით ადრე ქულით წინ იყო „ნიკსი", მაგრამ ჭეინსონის ზუსტმა ტყორცნმა გამარჯვება „სელტიკსს" მოუტანა.

შემცდარი იყო ის, ვინც საპასუხო შეხვედრებში „სელტიკსს" იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. მატჩები ბოსტონში ჩატარდა. უოლტ ფრეზიერის ბრწყინვალე თამაშმა (მან გუნდს 25 ქულა მისცა) და ჯიმ მონროს (22 ქულა) ზუსტმა ტყორცნებმა გამარჯვება „ნიკსს" მოუტანა — 103:100. თამაშის დამთავრებას 11 წამი რომ აკლდა, ანგარიში იყო 101:100 „ნიკსის" სასარგებლოდ. აქ „სელტიკსის" მოთამაშე ჯო უაიტი, რომელიც ბურთის ჩაჭრას ცდილობდა, დაჯარიმდა და ბრედლიმ კარგად გამოიყენა ორი საჯარიმო ტყორცნა.

მეორე დღეს მეტოქენი ისევ გამოვიდნენ მოედანზე. მეოთხე შეხვედრაში „ნიკსი" ჰავლიჩეკთან ვერაფერს ვახდა. ჰავლიჩეკმა, რომელიც ეროვნულ ასოციაციაში შედეგიანობით მეოთხე მოთამაშეა, ამ შეხვედრაში 36 ქულა დააგროვა და თავის გუნდს მძიმე ბრძოლაში გამარჯვება მოუპოვა — 98:91.

სპეციალისტთა აზრით, ეს იყო „სელტიკსის" 34 წლის ვეტერანის საუკეთესო მატჩი. ჰავლიჩეკს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 129 ფინალურ მატჩში აქვს მიღებული მონაწილეობა. ამ მატჩებში მან 2963 ქულა დააგროვა. ჰავლიჩეკზე უკეთესი შედეგები მხოლოდ ჯერი უესტს, ელჯინ ბეილორსა და უილტონ ჩემბერლენს აქვთ. ჰავლიჩეკის შედეგი გაკვირვებას იწვევს იმითაც, რომ მისი ამპლუა მცველად თამაშია, ხოლო კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში ასეთ შედეგს რომ მიაღწიო, მართლაც ბრწყინვალე მოთამაშე უნდა იყო.

თ. ჯაფარიძე.

(დასასრული იქნება)

• • •

სურათზე: დ. კოუნზი აკრობატული ნახტომით მოედანზე აბრუნებს აუტში მიმავალ ბურთს.



ეროვნული ასოციაციის
პროფესიონალთა
კალათბურთი,
1973-74 წლები

მწვრთნელისა და მოწაფის „დუელი"

ტრაკბი (ლიტვის სსრ), 13 აგვისტო. 22 წლის ტალინელმა სტუდენტმა კიირა კირმმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა წყალქვეშ ორიენტირებაში. მას აკმიანხის ტბაზე ვამართულ შეჯიბრებაში (ოთხი ცდა) არც ერთი შეცდომა არ დაუშვია და ჩამოიტოვა უძლიერესი მეტოქეები, რომელთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, ალმაათელი ნ. ტურუკალოც იყო.

ორიენტიროდ კურსის ცვლით ცურვაში ყველას აჯობა სევასტოპოლელმა ლ. სტეპანოვამ, ხოლო ორიენტირით — ნ. სალმინამ (ნოვოსიბირსკი). ამ უკანასკნელის მეუღლემ, მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ა. სალმინმა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელიც დაიბრუნა და „ორიენტირებით" შეჯიბრებაც მოიგო. სალმინმა ორივე ოქროს მედალი თავის მწვრთნელ ვ. ზაგოზინთან ბრძოლაში მოიპოვა. ამ უკანასკნელს ოქროს ჯილდო ხვდა უორიენტიროდ შეჯიბრებაში, ხოლო ვერცხლისა — აბსოლუტური პირველობისთვის ბრძოლაში.

ნოვოსიბირსკელ სპორტსმენებს 3 ოქროს მედალი ხვდათ, ესტონელებს 2 — მეორე ვაყებმა მოიგეს ჯგუფურ ვარჯიშში. ამ ვარჯიშში ქალთა შორის ყველას მოსკოველებმა აჯობეს.

— თუმცა გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა, ვაკანტური ადგილები აღარ დარჩა. ეს ადგილები შეავსეს ახალგაზრდებმა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჩემპიონატში, — თქვა ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზ. მურავიოვმა. — ამავე დროს, შემამფოთებელია ბევრი ჩვენი მოწინავე სპორტსმენის წარუმატებლობა. ისინი, როგორც ჩანს, თვითდამშვიდებას მოეცნენ პირველი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც საბჭოთა ნაკრებმა რვიდან შვიდი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

(საკდესი).

19 45

◆ **ვანილა, 14 აგვისტო.** ქაბუკ მოკადრაკეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფინალის III ტურის შემდეგ დაფინაურდნენ ისგლისელი მაილსი, ჰოლანდიელი დიექსი და შვედი შნაიდერი — 2,5-2,5 ქულა. III ტურში მაილსმა მოუგო გიარდელის (არგენტინა), დიექსმა — უინსტონს (აშშ), შნაიდერი კი მარიანოვიჩს (იუგოსლავია) დაუზავდა. ლენინგრადელმა კოჩიევმა ვერ დაასრულა შეხვედრა სუნიე-ხეტოსთან (ბრაზილია). ახლა მას 2 ქულა აქვს. ხენაოსა (კოლუმბია) და მაკის (აფრ) პარტია ყაიმით დამთავრდა.

◆ **ვინტერსკი, 14 აგვისტო.** საშვეიცარიულ სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატის მრავალეტიდში ყველას აჯობა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ა. კარალოვმა (ლენინგრადი). შეჯიბრებაში „მი-1" და „მი-2" შვეიცარიულ ვაყებთან თანასწორად იბრძოდა ხუთი სპორტსმენი ქალი, რომელთაგან ოთხი ფინალში გავიდა. განსაკუთრებით მაღალი ოსტატობა გამოავლინეს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა თ. ეგორკინამ (მოსკოვი) და სუმელმა სპორტის ოსტატმა ლ. პრიხოდკომ, რომელმაც ეურნალ „ჟრილია როდინის" სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ-74

● **ᲛᲐᲜᲘᲚᲐ, 13 აგვისტო.** ფილიპინების დედაქალაქში მიმდინარეობს ჭაბუკ მოკადრაკეთა მსოფლიო პირველობა. წარმატებით თამაშობს ლენინგრადელი კორჩნოი, რომელმაც მთავარ ფინალურ ტურნირში 2 ტურის შემდეგ 2 ქულა დააგროვა. II ტურში მან არგენტინელ გიარდელის სძლია, ასევე 2 ქულა აქვს შნაიდერს (შვეიცია). I ტურში მან გიარდელის ხოუგო, მერე კი, ბრაზილიელ სუნიე-ნეტოს აჯობა. 1,5-1,5 ქულა აქვთ ინგლისელ მაილსს (დაუზავდა გფრ-ის წარმომადგენელ მაკს და მოუგო კოლუმბიელ ხენაოს), ამერიკელ უინსტონს (მეორე ტურში დაუზავდა იუგოსლავიელ მარიანოვიჩს) და ჰოლანდიელ დიექსს (ყაიმი მარიანოვიჩთან და მოგება მაკთან). შემდეგ მოდიან: მარიანოვიჩი — 1 ქულა, მაკი — 0,5 ქულა. გიარდელის, სუნიე-ნეტოსა და ხენაოს მთავარ ფინალში არც ერთი პარტია არ მოუგიათ.

● **მოსკოვი, 13 აგვისტო.** ადგილობრივ [illegible] სპორტის სასახლეში დიდძალი მაყურებელი დაესწრო [illegible] გუნდების დღეს გამართულ ამხანაგურ მატ[illegible] ოლიმპიური ჩემპიონი — იაპონიის ეროვნული გუნდი და სსრ კავშირის ნაკრები. საინტერესო ბრძოლა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1 (15:10, 15:8, 13:15, 15:11). ეს შეხვედრა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის (ოქტომბერი, მექსიკა) ორივე გუნდის მზადების პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ სამზადისის პროგრამის მიხედვით დღეგანდელი მეტოქეები, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის გუნდებიც შეუერთდებიან, მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (16-18 აგვისტო). გვიან საღამოს ამავე სარბიელზე სწორედ კუბის გუნდი გამოვიდა — სსრ კავშირის მეორე ნაკრებს შეხვდა. გამარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა — 3:1 (15:11, 15:10, 11:15, 15:6).

კაპიტალის სამყაროში

ᲖᲔᲓᲐᲒᲔᲢᲘᲐ ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად გატაცებული არიან ბრაზილიელები ფეხბურთით. სპორტის საქმისნებმა გადაწყვიტეს ამ თამაშის „მოდერნიზება" და ავტოფეხბურთის ორგანიზება. რიო-დე-ჟანეირო-ში, სან-პაულოში და ქვეყნის სხვა ქალაქებში შეაკონწიწეს გუნდები, იყიდეს მანქანები. დაიწყო საფეხბურთო ავტობატალიები, რომელთა დროსაც „მოთამაშეები" ერთმანეთს ნეკნებს ამტვრევენ. მათი პატრონები კი ჯიბეს ისქელებენ.

ფოტო ეურნალ „სუპლემენტო დომინიკალიდან".

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ, ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲘᲡ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი, როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონობა ასპარეზობის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვა ხოფუნის „რუხმა". ბოლო, XXX ტურში მან მიიღო ვარშავის „ლეგია" და ფრედ ითამაშა მასთან — 3:3. ჩემპიონს 41 ქულა დაუგროვდა.

ზაბეჟს „გურნიკმა" სტუმრად მოუგო ვარშავის „გვარდიას" (2:1) და 38 ქულით ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

III ადგილზე გავიდა მელეცის „სტალი" — 37 ქულა.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ამ ქვეყნის ჩემპიონობა მრიბოვა ხასოს „აკრუს აზულმა". მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ტურნირი წარუმატებლად დაიწყო, მან მაინც შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ბოლო ტურში „ესპანიოლის" დამარცხებით (3:0) ჩემპიონი გახდა. „აკრუს აზულს" დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ეს გუნდი 1940 წელს ჩამოყალიბდა და მით უფრო აღსანიშნავია მისი წარმატება. პირველად ჩემპიონობა მან 1966 წელს მოიპოვა, 1970 წელს კი „დუელი" გააკეთა. ასევე პირველი იყო „აკრუს აზული" 1972, 1973 წლებში, ხოლო 1969 წელს ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა.

19 45

ᲑᲝᲚᲝ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲛᲐ გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა" საინტერესო მასალა დაბეჭდა მსოფლიო ტანვარჯიშის ბოლო 22 წლის ისტორიიდან. ეს მასალა ჩვენი პლანეტის საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა გამოსვლების თვისებური ანალიზია. შეჯამდა ყველა მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შედეგები, მოყოლებული 1952 წლიდან. სიძლიერის აღნიშვნის კრიტერიუმად მიღებული იყო „ჩათვლის ოლიმპიური სისტემა: I ადგილისთვის — 7 ქულა, II ადგილისთვის — 5 და ა. შ.

ვაჟთა მრავალჭიდში I ადგილზე აღმოჩნდა შანლინი (სსრ კავშირი), რომელმაც 25 ქულა დააგროვა. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვება მიეკუთვნათ: თავისუფალ ვარჯიშში — ნაკაიამას (იაპონია) — 24 ქულა, ტაეზე — ცერარს (იუგოსლავია) — 39 ქულა, რგოლებზე — აზარიანს (სსრ კავშირი) — 28 ქულა, ხტომაში — ონოს (იაპონია) — 20 ქულა, ორძეულზე — ჩუკარინს (სსრ კავშირი) — 19 ქულა, ღერძზე — ონოსა და შანლინს — თითოეულს 23 ქულა.

ქალთა შორის უძლიერესებად მიჩნეული არიან: მრავალჭიდში — ლატინინა (სსრ კავშირი) — 33 ქულა, თავისუფალ ვარჯიშში — შურატოვა (სსრ კავშირი) — 21 ქულა, ორძეულზე — ლატინინა — 25 ქულა, დვირზე — ბოსაკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 26 ქულა, ხტომაში — ლატინინა და ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია) — თითოეულს 28 ქულა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲒᲣᲜᲓᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ „ᲘᲜᲒᲝᲓᲐ"

ჩიტის ოლქის დაბა პერფომაისკის გუნდი „ინგოდა" „ტყავის ბურთის" ელების პრიზის ფინალურ ტურნირში, რომელიც კუიბიშევში ჩატარდება, ცამბირისა და შორეული აღმოსავლეთის ნორჩ ფეხბურთელთა სახელით ითამაშებს. ამ დაბის ბიჭებმა ყველას აჯობეს სასკოლო გუნდების ზონალურ ტურნირში, რომელიც ულან-უდეში გაიმართა.

ცხრა დღეს გაგრძელდა ბიჭების შეუპოვარი ბრძოლა ულან-უდეს სტადიონებზე; ცხრა დღეს გაგრძელდა მათი მიმზიდველი ექსკურსიები ბურიატთა ავტონომიურ რესპუბლიკაში, დაუვიწყარი შეხვედრები პიონერთა ბანაკებში.

ულან-უდე ამ შეჯიბრებისთვის შემთხვევით არ აურჩევიათ. ერთ-ერთ საკავშირო შეჯიბრებაში სეხსაციური წარმატება მოიპოვა ხორინსკის აიმაკის გუნდმა „უდამ", რომელსაც IV ადგილი ხვდა.

ულან-უდეს შეჯიბრების მონაწილენი გარემოსილი იყვნენ თავიანთი შეფეების — საწარმოთა და გაერთიანებათა კომკავშირელების ზრუნვითა და ყურადღებით.

დ. სანფიევი.

ულან-უდე.

ᲡᲐᲥᲠᲔᲚᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ





ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ კონსტრუქციის საწყლისნო მოტოციკლი ააწყო ჩიკაგოელმა ჯ. ონომ. ეს მანქანა, რომელიც წყალში არ იძირება, პირველად ჩიკაგოში, მიჩიგანის ტბაზე გამოსცადეს (მარცხენა ფოტო) და მან საათში 50 კმ სიჩქარე განავითარა. პირველმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

მაგრამ საწყლისნო მოტოციკლის სიჩქარე მაინც არაფერია იმ სკუტერის სიჩქარესთან, რომელსაც მარჯვენა სურათზე ხედავთ. იგი „მოტოციკლზე" სამჯერ და ოთხჯერ სწრაფად დაქრის, რაც ფოტოსურათიდანაც ჩანს. ზოგჯერ სკუტერი მთლად შორდება წყლის ზედაპირს და ჩიტივით დაფრინავს...

ცაფ-ის ფოტოები.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲣᲖᲘᲜᲒᲘ

თავისუფალი ბიდაობა. ეროვნის სახელობის პარკის სარბიელი. 16 აგვისტო. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა: „განთიადი" (საქართველო) — პროფკავშირების ნაკრები (იაპონია). დასაწყისი 19 ს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ.

რედაქციის მისამართი: 380098 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშების თვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამოშვება—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.